ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 10

12.07.2022
13:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 12 ივლისს, 13:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ირაკლი ეძგვერაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის კულტურის ობიექტების მართვის და დაგეგმარების განყოფილების უფროსი **ცირა შალოშვილი,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-0322192133-03; 11.07.2022 წელი),* **მომხსენებელი - ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **განათლებისა და კულტურის** კომისიასთან ერთად.

გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტს, რომლის თანახმადაც ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1 017,5 ათასი ლარით. აღნიშნული გახლავთ ლიკვიდაციაში მყოფი ტექნოლოგიური განვითარების ფონდის საოპერაციო ანგარიშზე არსებული თანხების ბიუჯეტში გადმოტანის შედეგად, რამაც გააჩინა გეგმის ზრდის შესაძლებლობა და ხარჯებისთვის დამატება, აღნიშნულის გათვალისწინებით ბიუჯეტის მოცულობა გახდა 1 395 751,0 ათასი ლარი. გარდა ამისა რაიონული გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან გვაქვს გარკვეული მოთხოვნები ტენდერიდან მიღებული ეკონომიების გათვალისწინებით, რის შედეგადაც ხდება შიდა პროგრამული გადანაწილებები.

კონკრეტულად კი **იზრდება** - გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) – 1 000,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 135,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 495,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 200,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 400,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 700,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 300,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) – 145,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) – 22,0 ათასი ლარი, **კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 60,0 ათასი ლარი,** ქ. თბილისის საკრებულოს (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნება - 200,0 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - 330,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 2 349,4 ათასი ლარით, რომელიც მოხმარდება უკრაინიდან დევნილი ადამიანების საცხოვრებელ პირობებს სასტუმროებით უზრუნველყოფას, რაც უახლოეს პერიოდში მოითხოვს დამატებით ცვლილებას და გაზრდას. **ამასთან,** ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა - მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი 06 02 03) – 6,0 ათასი ლარი.

მცირდება - გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) ქვეპროგრამის ასიგნებები – 400,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 600,0 ათასი ლარი, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) – 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 135,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 700,0 ათასი ლარი, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) – 25,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 100,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) - 300,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) – 6,0 ათასი ლარი, **სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 200,0 ათასი ლარი, აღნიშნული ცვლილება განპირობებულია დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრამდე მისასვლელი გზის მოასფალტების**

სამუშაოებით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 22,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) პროგრამის ასიგნება - 1 836,9 ათასი ლარი.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: ქ. თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 1 ერთეულით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა - 30 ერთეულით, ხოლო ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა 6 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 37 ერთეულით და ჯამურად შეადგენს 4 027 ერთეულს.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მოგესალმებით, სპორტის მიმართულებით გახლავთ ტექნიკური ცვლილება, რომელიც გამოწვეულია საქალაქო სამსახურის სპორტული ღონისძიებების (კოდი 08 06 01) პროგრამიდან საბურთალოს გამგეობის ბიუჯეტში თანხის გადატანით, რათა მოხდეს დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, კერძოდ მისასვლელი გზის და შიდა ეზოს მოასფალტების სამუშაოების უზრუნველყოფა. ასევე ბიუჯეტს ემატება ახალი, მნიშვნელოვანი ქვეპროგრამა - მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი 06 02 03) რომელიც 6,0 ათასი ლარით დაფინანსდება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე - (3),

თავი შეიკავა - ირაკლი ეძგვერაძე (1),

წინააღმდეგი - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე